პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

27 მარტი, 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.11.2018, №010250020.35.123.016411), კერძოდ:

1. **დადგენილების დანართის მე - 2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 2.

1. საბჭო არის მუნიციპალიტეტის სათათბირო საკონსულტაციო ორგანო, რომელიც „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

2. საბჭო ხელს უწყობს გენდერულ სფეროში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების იმგვარად შემუშავებას, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია, გენდერულად პასუხისმგებლიანი საჯარო ფინანსების მართვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტებით (მ.შ. კონცეფციებით) მუნიციპალიტეტის დონეზე განსაზღვრული საკითხების განხორციელების უზრუნველყოფასა და გენდერული სტატისტიკის წარმოებას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების უზრუნველყოფას, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვასა და დამტკიცებას, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგს, გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებული ანგარიშების მოსმენასა და შეფასებას, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას.“.

2. **დადგენილების დანართის მე-2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ მუხლი:**

„მუხლი 2¹.

გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საბჭო:

ა) საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი წყაროებით რეგულარულად ავრცელებს ინფორმაციას საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ამზადებს და ავრცელებს განცხადებებს ქალთა უფლებების დარღვევასთან და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული თემებისა და ტენდენციების თაობაზე;

გ) კოორდინაციას უწევს გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმდინარე კამპანიებს მათში საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

დ) ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას სტრატეგიული მიმართულებების გენდერულ მნიშვნელობაზე;

ე) თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, სხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერულ საკითხებში მრჩევლებთან, აგრეთვე, მუნიციპალიტეტების საკრებულოთა წევრებთან."

3. **დადგენილების დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 3.

1. საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;

ბ) გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამართლებრივი აქტების „ex-ante" და „ex-post" გენდერული ანალიზი, რეკომენდაციების მომზადება;

გ) გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ან/და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის რეკომენდაციის წარდგენა;

დ) გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;

ე) გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება - დანერგვა, ასევე, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ვ) გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე, წარდგენილი განცხადებების, დოკუმენტაციისა და სხვა ინფორმაციის განხილვა კომპეტენციის ფარგლებში, მათზე რეაგირების მოხდენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

თ) საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება და წელიწადში ერთხელ, წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენა;

ი) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 134-ე მუხლით დადგენილი წესით, საბჭოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის გამოქვეყნება საკრებულოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. ასევე, მისი გაგზავნა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის;

კ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგი, გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებული ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სტრატეგიული დოკუმენტების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

მ) მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის, მისი თანდართული მასალების, მ.შ. პრიორიტეტების დოკუმენტის, ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და მისი თანდართული მასალების, აუდიტის ანგარიშების განხილვა, გენდერულ ჭრილში შეფასება და ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება და მათი განხორციელების მონიტორინგი;

ნ) საბჭოს მუშაობის პროცესში მოპოვებული ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვა;

ო) აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგი;

პ) საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა საკრებულოში მოწვევა და მათგან ინფორმაციის მიღება გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ჟ) კვლევითი დოკუმენტების მომზადება;

რ) მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. საბჭო უფლებამოსილია:

ა) გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სახის ურთიერთობებში;

ბ) საბჭოს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და ანალიზის მიზნით, ითანამშრომლოს და მოაწყოს სამუშაო შეხვედრები შესაბამის დაინტერესებულ პირებთან და უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

გ) საბჭოს სხდომაზე მოიწვიოს საჯარო სამსახურის დაწესებულების ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც ვალდებულია დაესწროს საბჭოს სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში;

დ) გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლისა და განხილვისთვის მოიწვიოს შესაბამის დარგის სპეციალისტები ან/და ექსპერტები;

ე) საკრებულოს წარუდგინოს საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტები.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ.კოსტავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

ბ.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო
განყოფილების უფროსი

ნ.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი:**

სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) გენდერულად პასუხისმგებლიანი საჯარო ფინანსების მართვის შეფასების ანგარიშის შედეგების საფუძველზე საჭირო გახდა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციების გაძლიერება და დებულებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვა.

2. **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:**

ძირითადი ცვლილებები ეხება მუნიციპალიტეტის თანასწორობის საბჭოს ამოცანებს, ფუნქციებს და უფლებამოსილებებს, ხდება საბჭოს საქმიანობის და უფლებამოსილების გაძლიერება.

კერძოდ:

1. დებულების მე-2 მუხლში ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც განიმარტება, რომ „საბჭო არის მუნიციპალიტეტის სათათბირო საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

2. ასევე დებულების მე-2 მუხლში ემატება ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც საბჭო ხელს შეუწყობს გენდერულ სფეროში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების იმგვარად შემუშავებას, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია, გენდერულად პასუხისმგებლიანი საჯარო ფინანსების მართვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტებით (მ.შ. კონცეფციებით) მუნიციპალიტეტის დონეზე განსაზღვრული საკითხების განხორციელების უზრუნველყოფას, მუნიციპალურ დონეზე გენდერული სტატისტიკის წარმოებას, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგს, გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებული ანგარიშების მოსმენასა და შეფასებას.

3. მე-2 მუხლის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის 2^1 მუხლი:

გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საბჭო:

ა) საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი წყაროებით რეგულარულად ავრცელებს ინფორმაციას საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ამზადებს და ავრცელებს განცხადებებს ქალთა უფლებების დარღვევასთან და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული თემებისა და ტენდენციების თაობაზე;

გ) კოორდინაციას უწევს გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმდინარე კამპანიებს მათში საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

დ) ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიმღები პირების და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას სტრატეგიული მიმართულებების გენდერულ მნიშვნელობაზე;

ე) თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, სხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერულ საკითხებში მრჩევლებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკრებულოთა წევრებთან.

4. მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში შესული ცვლილებით, საბჭოს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებში შემოდის სამართლებრივი აქტების ex-ante და ex-post გენდერული ანალიზი, რეკომენდაციების მომზადების ფუნქცია;

5. მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „თ" ქვეპუნქტში განისაზღვრება კონკრეტული ვადა, კერძოდ, კი წლის დასრულებიდან 2 თვის ვადა, როდესაც საბჭომ უნდა მოახდინოს საქმიანობის შესახებ ანგარიშს მომზადება;

6. მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტს „საბჭოს ფუნქციები და ამოცანები" ემატება „ი"-„რ" ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

ი) საბჭოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში ქვეყნდება საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის 134-ე მუხლით დადგენილი წესით და ასევე ეგზავნება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს.

კ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგი, გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებული ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სტრატეგიული დოკუმენტების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

კ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგი, გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებული ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სტრატეგიული დოკუმენტების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

მ) მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის, მისი თანდართული მასალების, მ.შ. პრიორიტეტების დოკუმენტის, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის და მისი თანდართული მასალების, აუდიტის ანგარიშების განხილვა, გენდერულ ჭრილში შეფასება და ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება და მათი განხორციელების მონიტორინგი;

ნ) საბჭოს მუშაობის პროცესში მოპოვებული ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვა;

ო) აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგი;

პ) საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა საკრებულოში დაბარება და მათგან ინფორმაციის მიღება გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ჟ) კვლევითი დოკუმენტების მომზადება;

რ) მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

7. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში შესული ცვლილებით საბჭოს სხდომაზე მოწვეული საჯარო სამსახურის დაწესებულების ნებისმიერი თანამდებობის პირი ვალდებული იქნება დაესწროს საბჭოს სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში;

8. ასევე მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს „საბჭოს უფლებამოსილებებს“ ემატება „დ“-„ე“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

დ) გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლისა და განხილვისთვის მოიწვიოს შესაბამის დარგის სპეციალისტები ან/და ექსპერტები;

ე) საკრებულოს წარუდგინოს საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტები;

3. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღება (გამოცემა):

დებულებით განსაზღვრული საკითხების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსების წყაროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტი.

4. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი (ავტორები):

გენდერული თანასწორობის საბჭო

5. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის წარმდგენი:

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მაგდა კოსტავა

6. გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ნორმატიული აქტის მიღების უმთავრესი ამოცანაა მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. შესაბამისად, ნორმატიული აქტის მიღება დადებით ზეგავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე. გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის დგინდება ახალი და სპეციფიკური უფლებები, ვალდებულები და შესაძლებლობები, რომლის შესაბამისად გენდერული საბჭოს საქმიანობის საფუძველზე ხელი შეეწყობა ქალთა და კაცთა შორის უთანასწორობის შემცირებას, გაიზრდება როგორც ქალთა, ასევე კაცთა ხელმისაწვდომობა სხვადასხვა მუნიციპალურ სერვისებზე.

7. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღება (გამოცემა):

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი

8. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ:

ასეთი არ არსებობს.

9. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება (მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტის შემთხვევაში):

ვინაიდან ნორმატიული აქტის მიღება ხელს შეუწყობს გენდერული უთანასწორობის შემცირებას, ქალთა როლის გაძლიერებას, ქალისა და კაცის სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობას, აღნიშნული თავის მხრივ დადებით ზეგავლენას მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

მ.კოსტავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული

თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე